



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის განხილვის შესახებ

12 იანვარი 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორის გენადი ბაღდასაროვის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის 2015 წლის 05 იანვრის განჩინებაზე, ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმოებაში იყო სს #008021114001 საქმე.

საქმის მასალების მიხედვით 2014 წლის 02 ნოემბერს ქ. თბილისში, ფ.-ს ქ. №X-თან ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა გ. ა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის დ/გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით. ქიმიური ექსპერიზის #XXXX/სქ დასკვნის მიხედვით ამოღებული ნივთიერება აღმოჩნდა 0,22 გრამი გამომშრალი მარიხუანა. 2014 წლის 02 ნოემბერს გ. ა. შესამოწმებლად იქნა გადაყვანილი შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც შემოწმების შედეგად, 2 ნოემბერსვე გამოკვლევის №XXXXXXXX დასკვნის თანახმად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ მარიხუანას მოხმარების ფაქტი. 2014 წლის 2 ნოემბერს ბრალდებული გათავისუფლებული იქნა დაკავებიდან, ხოლო 2014 წლის 3 ნოემბერს პროკურორის მიერ მიღებული იქნა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გ. ა.-ს მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის ბრალდების ნაწილში, ხოლო გაგრძელდა გამოძიება სხვა დანაშაულის ნიშნების, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და, ასევე მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის, დადგენის გამო.

2015 წლის 25 ნოემბერს პროკურორ გენადი ბაღდასაროვის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება გ. ა.-ს ბრალდების შესახებ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვისთვის ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულ გ. ა.-ს არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, სსკ-ის 169-ე და 208-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევის გამო.

2015 წლის 29 დეკემბერს პროკურორ გენადი ბაღდასაროვის მიერ კვლავ იქნა გამოტანილი დადგენილება გ. ა.-ს ბრალდების შესახებ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, კერძოდ, მას ბრალი წარედგინა ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ.

2015 წლის 30 დეკემბერს, ქ.თბილისის პროკურატურიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად გადაგზავნილ იქნა სისხლის სამართლის NXXXXXXXXXXXX საქმე, გ. ა.-ს (დაბ.: XXXX წლის XX იანვარს, პ/ნ XXXXXXXXXXXXX) მიმართ დანაშაულისათვის, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით - პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ.

2015 წლის 05 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა, გ. ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, წინასასამართლო სხდომაზე განიხილა პროკურორ გენადი ბაღდასაროვის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ. მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ ბრალდების ნაწილში, კერძოდ პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვის ნაწილში, შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ბრალდების დანარჩენ ნაწილში კი საქმე გადაეცა არსებითი განხილვისთვის.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორმა, გენადი ბაღდასაროვმა. საჩივარში პროკურორი ითხოვს განჩინების გაუქმებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ნაწილში და საქმის გადაცემას არსებითი განხილვისთვის ბრალდების ორივე ნაწილში.

საჩივარში მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის 2015 წლის 05 იანვრის განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია და ბრალდების მხარე არ ეთანხმება სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს, რადგან 2014 წლის 02 ნოემბერს 00:38 საათზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით იქნა დაკავებული გ. ა., ხოლო დაკავებიდან გათავისუფლდა 02 ნოემბერსვე და მეორე დღეს, 03 ნოემბერს, შეწყდა მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. გამოძიება გაგრძელდა იმ კუთხით, რომ მართალია გ. ა.-ს ქმედებაში არ იყო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, თუმცა შესაძლოა გ. ა.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სხვა ქმედებების ჩადენას. ფაქტობრივად გ. ა.-ს მიმართ დევნა დაწყებული იყო ქმედების ჩადენისათვის, რომელიც არ ყოფილა რეალურად

ჩადენილი და შესაბამისად სახეზე არ იყო დანაშაული, რის გამოც მის მიმართ შეწყდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული დევნა. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს განმარტებით, 2015 წლის 25 ნოემბერს გ. ა-ს ბრალი წარედგინა იმავე ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რის გამოც თვლის, რომ დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნები, თუმცა აქ სასამართლომ არ იმსჯელა, რომ გ. ა-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დაწყებული არ ყოფილა, მის მიმართ დევნა მიმდინარეობდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რის ჩადენაც არ დადასტურდა და შესაბამისად შეწყდა მის მიმართ ამ კვალიფიკაციით დაწყებული დევნა. ფაქტობრივად, გ. ა. დაკავებული კი იყო საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის, მაგრამ ამ ქმედების ჩადენა არ დადასტურდა, რის გამოც მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილია და შეუძლებელია უკვე შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თარიღი განვიხილოთ საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი ვადის საწყისად (იხ. საჩივარი).

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და არ არსებობს მისი ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

თბილისის სააკველაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები, წინასასამართლო სხდომის ოქმი და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხის დეფინიციასაც, რომლის თანახმადაც, იგი განმარტებულია როგორც წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.

2016 წლის 5 იანვარს წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ იხელმძღვანელა სწორედ ზემოაღნიშნული ნორმებით, ბრალდების ნაწილში შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის დარღვევის გამო გ. ა.-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის დროს ამ ნაწილში ვერ იქნებოდა მიღებული გამამტყუნებელი გადაწყვეტილება, არ იქნებოდა ურთიერთთავსებადი მტკიცებულებები,

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ მიუთითა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი და სასამართლოს განჩინებით საქმის არსებით განხილვაზე დაშვებული მტკიცებულებების ერთობლიობა არ იყო საკმარისი ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით ბრალდებულის მიმართ ბრალდების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაბამისად მოსამართლემ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ ბრალდების ერთ ნაწილში.

საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს პროკურორის მოტივს, რომლითაც ის პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინების უკანონობასა და დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს, რადგან საქმეში არსებული მასალები სხვა ფაქტობრივ მდგომარეობაზე მიუთითებს და სასამართლომ სწორი შეფასება მისცა აღნიშნულს, რაზეც ქვემოთ იქნება მსჯელობა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ 2014 წლის 2 ნოემბერს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით, როგორც საქმის მასალებით ისე მოსამართლის განჩინებაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვის ბრალდებით და მითითებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სახელდებით არსადაა მითითებული, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას სავალდებულოა კვალიფიკაციის ზუსტი მითითება. საქართველოს სსკ-ის 174-ე მუხლის დაკავების წესის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული. მოცემულ შემთხვევაში, დამკავებელი პირების მიერ მოპოვებული ინფორმაციით არ დგინდება გ. ა.-ს მიერ თანხაქონი ნივთიერება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას თუ სსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობას იძლეოდა, ანუ რის საფუძველზე მიუთითა დამკავებელმა პირმა დაკავების ოქმში საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე და არ მიუთითა სსკ-ის 273-ე მუხლზე დაუდგენელია, თუმცა დაკავების ოქმში დაბეჯითებით იქნა მითითებული „იგი ბრალდებულია ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვაში“. ამასთან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობის საერთო ნიშანია - ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვა, ხოლო განსხვავება გამოიხატება მათ შორის ოდენობაში, პროკურორის დადგენილებაშიც მითითებულია, რომ მარიხუანას ოდენობა 5 გრამი და მეტი იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით. თუმცა გ. ა.-სგან ამოღებული ნივთიერება იყო წონით 0,22 გრამი მარიხუანა, რაც ქმნიდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობას, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვას.

გამოძიების მიერ ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული, საქართველოს სსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნა, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა გ. ა.-ს ქმედება და ბრალდება, ჩანაწერის - როგორც დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო, ისე - მომავალში მისთვის იმავე ბრალის წაყენების ნაწილში ბრალდებულად ყოფნის 9 თვიან ვადასთან დაკავშირებით. ამ მხრივ სასამართლოს გადაწყვეტილების დებულებათა/მოსაზრებათა მცდარობა ვერც საქმის მასალების და ვერც პროკურორის საჩივრის მოტივების შემოწმების მიხედვით დადასტურდა, რამეთუ სწორად განიმარტა სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემდეგ არ გამქრალა გ. ა.-ს ქმედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-

შენახვის ნაწილში და სხვა ქმედება ამ ნაწილში არ გამოვლენილა, გარდა იმ ფაქტისა, რომ გ. ა.-ს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაც დაუდგინდა, რაც არ არის სადაო და ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის განჩინება არ განიხილება. ის ფაქტი, რომ გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილში, როგორც პროკურორი ახსენებს, არ დადასტურდა ქმედების ჩადენა, რის გამოც მის მიმართ დაწყებული იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა და შემდეგ შეწყდა ეს სს დევნა და შეუძლებელია უკვე შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თარიღი განვიხილოთ საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი ვადის საწყისად. სასამართლო განმარტავს, რომ გამოძიებას სრულად შეეძლო ბრალდებულად ყოფნის 9 თვიან ვადაში სრულყოფილად ჩაეტარებინა გამოძიება როგორც საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის ისე 273-ე მუხლის ბრალდების ნაწილში, საყურადღებოა, რომ პროკურორმა გ. ა.-ს მიმართ 2014 წლის 3 ნოემბერს შეწყვიტა სს დევნა სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა გაგრძელდა გამოძიება სხვა დანაშაულის ნიშნების დადგენისათვის, ანუ ის, რომ ქმედება, რაზეც გ. ა. ბრალდებულად იქნა დაკავებული და შემდეგ შეწყვეტილი იქნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ ნიშნავს, რომ გ. ა.-ს მხრიდან აღარ არსებობდა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტი, რამეთუ გამოძიებას ჰქონდა მტკიცებულებები - ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერება, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები, 2014 წლის 7 ნოემბერს მოპოვებული შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან გ. ა.-ს ასკ-ის 45 მუხლით სასამართლოს მიერ სახდელის დადების შესახებ ინფორმაცია, ანუ გ. ა.-ს ქმედებას დამატებით, რაიმე სხვა ქმედებით შევსება შეძენა-შენახვის ნაწილში არ საჭიროებდა და არც მომხდარა მსგავსი შემდგომ გამოძიებით, გარდა მოხმარებისა, რაც უდავოა და არ განიხილება ამ ნაწილში.

ამასთან, საგამოძიებო კოლეგია საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იმიტომ გაითვალისწინა შეწყვეტილი სს დევნის თარიღი, მანამდე ბრალდებულად დაკავების თარიღი, რომ არსებობდა დანაშაულის ერთი შემთხვევა, ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა, ის რომ სს დევნა შეწყდა, არ ნიშნავს, რომ ავტომატურად გაქრა ბრალდებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედების მნიშვნელობა და სუბიექტურობა, არც საჩივრის ავტორი უარყოფს, რომ გ. ა. დაკავებული იყო ერთი კონკრეტული ქმედებისათვის, თუმცა სს დევნის შეწყვეტის შემდეგ ბრალდებას გ. ა.-ს მიმართ სხვა ქმედება არ გამოუვლენია, აქ არ იგულისხმება ნ/საშუალების მოხმარების ფაქტი, რაც მხარეების მიერ არაა სადაო და ამ ნაწილში განჩინება არ გასაჩივრებულა. 2015 წლის 25 ნოემბრის ბრალდების დადგენილებით აღწერილი გარემოება დანაშაულის სხვა შემთხვევას არსებითად არ გულისხმობს, როგორც 2014 წლის 2 ნოემბერს მიჩნეულ იქნა გ.ა.-ს ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვა, 2015 წლის 25 ნოემბრის დადგენილებაშიც მითითებულია ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა შენახვა, რაც მერე 2015 წლის 29 დეკემბრის ბრალდების დადგენილებაშიც ჰპოვებს ასახვას. ანუ დაუშვებელია პროკურორის მოსაზრება ბრალდებულის უფლებების საწინააღმდეგოდ, საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მერვე ნაწილის საპირისპიროდ განმარტებისათვის.

გამოძიების მიერ ასევე ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა განმეორებით დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვის შესახებ, მე-2 ნაწილის თანახმად არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ

უკვე გამართლებული იქნა, ამავე მუხლის პირველ ნაწილში ასევე მითითებულია, რომ დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე. წარმოდგენილი მუხლი გულისხმობს, რომ არ შეიძლება პირს განმეორებით წაეყენოს ბრალდება იმ ქმედების - ბრალისათვის, რომელშიც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ იქნა, და არ შეიძლება პირი განმეორებით დაკავებულ იქნას სისხლისსამართლებრივი წესით მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, გ. ა. განმეორებით დაკავებული არ ყოფილა, თუმცა 2015 წლის 25 ნოემბერს გამოტანილი იქნა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ. საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ბრალდების დადგენილებას საფუძვლად დაედო იგივე ფაქტობრივი გარემოება და არსებითად იგივე მტკიცებულებები, რაც არსებობდა თავდაპირველ ეტაპზე. შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებები არსებითად არ ცვლიდა ბრალდებას და ამისთვის 9 თვიანი ვადის გაშვება არ იყო საჭირო.

და ბოლოს, სისხლისსამართლებრივი დევნის 9 თვიანი ვადაც რომ არ ყოფილიყო დარღვეული, სასამართლო საჩივრის ავტორს მიუთითებს, რომ 2014 წლის 3 ნოემბერს პროკურორის მიერ გ. ა.-ს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული დევნა, თუმცა დადგენილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა გაგრძელება გამოძიება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და, ასევე მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის, დადგენის გამო, მაგრამ დადგენილების გადაწყვეტის ნაწილში მიუთითა სს დევნის შეწყვეტაზე, არაფერი მიუთითა ამ საქმიდან გამოყოფაზე გამოძიების საწარმოებლად საქართველოს სსსკ-ის 110-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ასევე არ მოიპოვება ინფორმაცია ზემდგომი პროკურორის მიერ საქართველოს სსსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების შესახებ ის, რომ პროკურორმა შეწყვიტა სს დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ეს შემთხვევა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, ბრალდების არსის, ქმედების არსის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსის მიხედვით ნიშნავს, რომ პროკურორმა 2014 წლის 3 ნოემბერს გ. ა.-ს მიმართ შეწყვიტა დაწყებული სს დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვის ფაქტზე და არა ცალკე აღებულ კვალიფიკაციის ნაწილში, რაც მათემატიკური ციფრებით გამოიხატება. აქედან გამომდინარე, პროკურორმა შეწყვიტა ბრალდება ქმედებაში, გააუქმა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა, უფრო მძიმე ბრალდება გააუქმა, რომელიც თავის თავში მოიცავდა ნაკლებად მძიმე ბრალდებას, შეწყვეტის დადგენილებით პროკურორმა თქვა, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, თუმცა საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქ/პუნქტის უგულებელყოფით, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ, პროკურორმა კვლავ გამოიტანა ბრალდების დადგენილება 2015 წლის 25 ნოემბერს, რაც დაუშვებელია.

როგორც აღინიშნა გ. ა.-ს განმეორებით დაკავება არ მომხდარა, მაგრამ მოხდა მისი განმეორებით ბრალდება უკვე გამართლებული ქმედებისათვის, 2014 წლის 2 ნოემბერსაც და 2015 წლის 25 ნოემბერსაც ბრალის ფორმულირებას წარმოადგენდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, სხვა ნიშანზე ყურადღების გამახვილება, როგორც მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, იმ შემთხვევაში შეიძლება თუ პირველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის

არსებითი შემადგენელი ნიშანი და თუ პირის განზრახვა ამასაც მოიცავდა, ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს დანაშაულის არსებითი მხარე ქმედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა. განსხვავებაა "მცირე ოდენობა" რაც გამოძიებამ ახალ გარემოებად ჩათვალა, თუმცა ქმედების ძირითადი შემადგენლობის, პროკურორის მიერ განმეორებით შეფასებაზე ყურადღების მიქცევისას, ნათლად იკვეთება, რომ 2014 წლის 2 ნოემბერსაც ბრალდებულად დაკავებისას გათავისუფლებამდე და 2015 წლის ნოემბერსაც ბრალის წარდგენისას არსებობდა ერთი და იგივე ინფორმაცია, ერთი და იგივე ქმედებაზე, ბრალიც ერთი და იმავე არსით ხასიათდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვა, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აღარ არსებობდა გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განმეორებით დაწყების საფუძველი ამ ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის მიერ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის განჩინება კანონიერია, დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. მოსამართლემ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით, მიუკერძოებლად შეისწავლა, გამოიკვლია და შეაფასა წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა საკმარისობის საკითხი და მიიღო კანონშესაბამისი, ობიექტური გადაწყვეტილება. საჩივრის შესწავლით არ დგინდება მოსამართლის გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა და არც რაიმე ისეთი გარემოება იკვეთება, რაც ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გაუქმებასა და ამ ბრალდების „ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვისთვის ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ“ არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემას განაპირობებს. შესაბამისად, საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-20, 98-ე, 219-ე, 207-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორ გენადი ბაღდასაროვის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, დარჩეს უცვლელად;
3. განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი გოგინაშვილი